

შპს „არქთრეიდი“

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	11
დასკვნის ბოლო გვერდი	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „არქთრედი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „არქთრედი“-ს (შემდეგში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობას და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იკვეთება ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის ჯგუფს არ განუხორციელებია ზემოაღნიშნული აქტივების შეფასება. საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,437,430 და 5,158,397 ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დასტურის წერილები ჯგუფის დებიტორებისგან, რომელიც შედგება იურიდიული პირებისგან. ამასთანავე, ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით დაგვედასტურებინა მოთხოვნების ნაშთები, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად შეადგენს 227,755 ლარს. ჩვენ ვერ დავადგინეთ შესაბამისი დებიტორული ნაშთების არსებობის შემთხვევაში, რამდენად რეალური იყო აღნიშნული მოთხოვნების მოცულობა და რამდენად არსებობდა აღრიცხული ან აღურიცხავი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კორექტირების საჭიროება.

ჩვენ ვერ მივიღეთ დასტურის წერილი ჯგუფის ერთ-ერთ ძირითადი კრედიტორისგან. ამასთანავე, ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით დაგვედასტურებინა ვალდებულების ნაშთი, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად შეადგენს 355,366 ლარს. ჩვენ ვერ დავადგინეთ შესაბამისი კრედიტორული ნაშთების არსებობის შემთხვევაში, რამდენად რეალური იყო აღნიშნული ვალდებულების მოცულობა და რამდენად არსებობდა აღრიცხული ან აღურიცხავი სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კორექტირების საჭიროება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური

ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ აგრეთვე ჩავატარეთ მე-2 პენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შეცდომების შესწორების აუდიტი, რომელიც განხორციელდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. წინა პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამორბედმა აუდიტორმა დასკვნა ცვლილებების შეტანამდე მოამზადა.

ჩვენ არ დავუნიშნავართ კომპანიას 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული შესწორებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. მე-2 პენიშვნაში აღწერილი შეცდომების შესწორებასთან დაკავშირებით ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

სხვა გარემოება

ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 28 სექტემბერს გასცა მოდიფიცირებული (პირობითი) დასკვნა.

წინამორბედი აუდიტორის მიერ გამოთქმული პირობითი მოსაზრების საფუძვლები:

- *“საანგარიშგებო წლის დასასრულს ჩვენ არ ჩავიტარებთ მარაგების ფიზიკური დათვალიერება. ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მარაგების რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა 2019 წლის 31 დეკემბერს ღირებულებით 5,158 ათასი ლარი. შესაბამისად ვერ დავადგინეთ რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხვ მარაგებთან დაკავშირებით, და ასევე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.*
- *ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული იმ მოთხოვნების და ვალდებულებების გაუფასურებასთან დაკავშირებით, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არის ასახული. შესაბამისად 180.8 ათასი ლარის და 194.9 ათასი ლარის სიდიდით. ასევე ვერ დადასტურდა 516.1 ათასი ლარის მოთხოვნები და 4,439 ათასი ლარის ვალდებულებები. შედეგად ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოთხოვნებში და ვალდებულებებში, აგრეთვე სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.”*

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის საფუძველს და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმომობილი არსებითი ცდომილების აღმოუჩენლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმომობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს

საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება, არის ზვიად ბალახაშვილი.

ზვიად ბალახაშვილი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

27 სექტემბერი, 2021 წ.

თბილისი, საქართველო

- საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
 - სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება, არის ზვიად ბალახაშვილი.

ზვიად ბალახაშვილი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

27 სექტემბერი, 2021 წ.
თბილისი, საქართველო



შპს „არქთრედი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019 გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,579,638	3,806,343
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	1,193,324	1,765,676
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	6	-	-
არამატერიალური აქტივები		15,004	15,541
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,787,966	5,587,560
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	383,780	744,227
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	763,184	998,983
გადახდილი ავანსები	9	438,924	295,063
სხვა საგადასახადო აქტივი		-	489,182
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	2,437,430	5,158,397
სულ მიმდინარე აქტივები		4,023,318	7,685,852
სულ აქტივები		8,811,284	13,273,412
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	432,496	622,866
ფინანსური იჯარის ვალდებულება	12	440,762	456,053
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		82,808	68,526
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		956,066	1,147,445
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,303,760	2,241,840
მიღებული ავანსები	14	3,771,985	5,211,295
საგადასახადო ვალდებულება		85,937	-
გადასახდელი ხელფასები	15	182,926	188,841
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	11	74,558	549,852
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		36,677	64,409
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,455,843	8,256,237
სულ ვალდებულებები		6,411,909	9,403,682
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	1,040,137	946,612
გაუნაწილებელი მოგება		1,359,238	2,923,118
სულ კაპიტალი		2,399,375	3,869,730
სულ კაპიტალი და ვალდებულება		8,811,284	13,273,412

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

მიხეილ კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია სუბელიანი

გვერდებზე 11-33 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-6.

შპს „არქთერიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019 გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,579,638	3,806,343
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	1,193,324	1,765,676
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	6	-	-
არამატერიალური აქტივები		15,004	15,541
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,787,966	5,587,560
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	383,780	744,227
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	763,184	998,983
გადახდილი ავანსები	9	438,924	295,063
სხვა საგადასახადო აქტივი		-	489,182
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	2,437,430	5,158,397
სულ მიმდინარე აქტივები		4,023,318	7,685,852
სულ აქტივები		8,811,284	13,273,412
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	432,496	622,866
ფინანსური იჯარის ვალდებულება	12	440,762	456,053
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		82,808	68,526
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		956,066	1,147,445
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,303,760	2,241,840
მიღებული ავანსები	14	3,771,985	5,211,295
საგადასახადო ვალდებულება		85,937	-
გადასახდელი ხელფასები	15	182,926	188,841
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	11	74,558	549,852
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		36,677	64,409
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,455,843	8,256,237
სულ ვალდებულებები		6,411,909	9,403,682
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	1,040,137	946,612
გაუნაწილებელი მოგება		1,359,238	2,923,118
სულ კაპიტალი		2,399,375	3,869,730
სულ კაპიტალი და ვალდებულება		8,811,284	13,273,412



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

[Handwritten signature]

მიხეილ კალანდაძე

ლია სუბელიანი

გვერდებზე 11-31 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-6.

შპს „არქთრეიდი“
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2020 წ.	2019 წ. გადაანგარიშებული
შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	17	17,695,422	30,286,024
თვითღირებულების ხარჯი	18	(15,834,135)	(27,015,096)
საერთო მოგება		1,861,287	3,270,928
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	19	(1,509,587)	(1,415,224)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი		(81,994)	(307,817)
ფინანსური ხარჯი	20	(213,217)	(203,793)
ფინანსური შემოსავალი		886	5,632
არასაოპერაციო ხარჯი	21	(1,513,613)	(51,342)
არასაოპერაციო შემოსავალი		92,521	102,492
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	22	(170,500)	(199,926)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(1,534,217)	1,200,950
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის შედეგი		(1,534,217)	1,200,950

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

მიხეილ კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია სუბელიანი

გვერდებზე 11-33 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-6.

შპს „არქთერიდი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2020 წ.	2019 წ. გადაანგარიშებული
შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	17	17,695,422	30,286,024
თვითღირებულების ხარჯი	18	(15,834,135)	(27,015,096)
საერთო მოგება		1,861,287	3,270,928
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	19	(1,509,587)	(1,415,224)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი		(81,994)	(307,817)
ფინანსური ხარჯი	20	(213,217)	(203,793)
ფინანსური შემოსავალი		886	5,632
არასაოპერაციო ხარჯი	21	(1,513,613)	(51,342)
არასაოპერაციო შემოსავალი		92,521	102,492
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	22	(170,500)	(199,926)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(1,534,217)	1,200,950
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის შედეგი		(1,534,217)	1,200,950



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით, 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

(Handwritten signatures in blue ink)

მიხეილ კალანდაძე

ლია სუბელიანი

გვერდებზე 11-31 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-6.

შპს „არქთრეიდი“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01.01.2019			
გადაანგარიშებული	595,536	1,722,169	2,317,705
პერიოდის შედეგი	-	1,200,950	1,200,950
კაპიტალის ზრდა	411,176	-	411,176
კაპიტალის შემცირება	(60,100)	-	(60,100)
ბალანსი 31.12.2019			
გადაანგარიშებული	946,612	2,923,119	3,869,731
პერიოდის შედეგი	-	(1,534,217)	(1,534,217)
კაპიტალის ზრდა	534,779	-	534,779
კაპიტალის შემცირება	(441,254)	-	(441,254)
გადახდილი დივიდენდი	-	(29,664)	(29,664)
ბალანსი 31.12.2020	1,040,137	1,359,238	2,399,375

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

მიხეილ კალანდამე

მთავარი ბუღალტერი:

ლია სუბელიანი

გვერდებზე 11-33 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-6.

შპს „არქთერიდი“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01.01.2019			
გადაანგარიშებული	595,536	1,722,169	2,317,705
პერიოდის შედეგი	-	1,200,950	1,200,950
კაპიტალის ზრდა	411,176	-	411,176
კაპიტალის შემცირება	(60,100)	-	(60,100)
ბალანსი 31.12.2019			
გადაანგარიშებული	946,612	2,923,119	3,869,731
პერიოდის შედეგი	-	(1,534,217)	(1,534,217)
კაპიტალის ზრდა	534,779	-	534,779
კაპიტალის შემცირება	(441,254)	-	(441,254)
გადახდილი დივიდენდი	-	(29,664)	(29,664)
ბალანსი 31.12.2020	1,040,137	1,359,238	2,399,375



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

მიხეილ კალანდაძე

ლია სუბელიანი

გვერდებზე 11-31 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-6.

შპს „არქთრედი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდი

	2020	2019 გადაანგარიშებული
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(821,653)	1,200,950
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	286,728	253,253
საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი	81,994	307,817
საკურსო სხვაობის ეფექტი	170,500	199,926
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/(შემცირება)	133,221	274,059
გადახდილი ავანსების (ზრდა)/(შემცირება)	(154,032)	1,292,304
მარაგების ზრდა/(შემცირება)	2,720,967	(177,541)
სხვა გრძელვადიანი აქტივის ზრდა/(შემცირება)	790,586	(1,271,235)
სხვა საგადასახადო აქტივების ზრდა/(შემცირება)	489,182	(112,272)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(1,147,341)	(26,072)
საგადასახადო ვალდებულებების (ზრდა)/(შემცირება)	85,937	-
გადასახდილი ხელფასების (ზრდა)/(შემცირება)	(6,261)	103,558
მიღებული ავანსების ზრდა/(შემცირება)	(1,439,310)	561,880
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(27,732)	(10,166)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(108,625)	(131,359)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების (ზრდა)/(შემცირება)	12,972	(40,119)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,067,134	2,424,983
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(60,023)	(1,309,890)
არამატერიალური აქტივების შეძენა	537	8,357
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(59,486)	(1,301,533)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის გადახდა	(475,294)	(998,721)
სესხის მიღება	(222,644)	221,892
კაპიტალის ზრდა	93,525	351,076
დივიდენდის გაცემა	(742,228)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(1,346,641)	(425,753)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(338,994)	697,697
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	744,227	156,880
საკურსო ოპერაციების ეფექტი ფულად სახსრებზე	(21,454)	(110,350)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	383,780	744,227

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

მიხეილ კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია სუბელიანი

გვერდებზე 11-33 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-6.

შპს „არქთრედი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდი

	2020	2019 გადაანგარიშებული
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(821,653)	1,200,950
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	286,728	253,253
საეჭვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი	81,994	307,817
საკუროს სხვაობის ეფექტი	170,500	199,926
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	133,221	274,059
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება	(154,032)	1,292,304
მარაგების ზრდა/(შემცირება)	2,720,967	(177,541)
სხვა გრძელვადიანი აქტივის ზრდა/(შემცირება)	790,586	(1,271,235)
სხვა საგადასახადო აქტივების ზრდა/(შემცირება)	489,182	(112,272)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(1,147,341)	(26,072)
საგადასახადო ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	85,937	-
გადასახდელი ხელფასების (ზრდა)/შემცირება	(6,261)	103,558
მიღებული ავანსების ზრდა/(შემცირება)	(1,439,310)	561,880
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(27,732)	(10,166)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(108,625)	(131,359)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	12,972	(40,119)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,067,134	2,424,983
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(60,023)	(1,309,890)
არამატერიალური აქტივების შეძენა	537	8,357
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(59,486)	(1,301,533)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის გადახდა	(475,294)	(998,721)
სესხის მიღება	(222,644)	221,892
კაპიტალის ზრდა	93,525	351,076
დივიდენდის გაცემა	(742,228)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(1,346,641)	(425,753)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(338,994)	697,697
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	744,227	156,880
საკუროს ოპერაციების ეფექტი ფულად სახსრებზე	(21,454)	(110,350)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	383,780	744,227

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

მიხეილ კალანდაძე

ლია სუბელიანი

გვერდებზე 11-31 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-6.

1. შესავალი

ჯგუფი და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქთრედი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 205039180, დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2004 წლის 31 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., № 71, სართული 2, ოფისი N9.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	პირადი ნომერი	% წილი
თეიმურაზ ხოჯავა	01024017928	16%
მიხეილ კალანდაძე	01008001242	50%
დავით აბშილავა	01009003106	34%

კომპანიის დირექტორია მიხეილ კალანდაძე.

შპს „არქთრედი“ 100% წილს ფლობს შპს „ემ-ი-პი სოლუშენს“-ში. თავის მხრივ შპს „ემ-ი-პი სოლუშენს“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კომპანიას, რომელიც დაფუძნებულია 2019 წლის 16 მაისს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405335418 იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., № 71, სართული 2, ოფისი N9. 2. კომპანიის დირექტორი ლევან შაქარაშვილი.

ჯგუფს ჰყავს ასევე მეკავშირე საწარმო შპს „ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი“, რომელშიც ფლობს 48%-იან წილს.

2021 წლის 13 მარტს დაფუძნდა კომპანია შპს „დი ენდ ეი“ (ს/კ: 405449199), რომლის 50%-იანი წილის მფლობელია შპს „არქთრედი“.

შპს „არქთრედი“ წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან ჯგუფს სამშენებლო სფეროში, ასევე არის ავეჯის და შიდა მოსაპირკეთებელი მასალების (კარები, ტიხრები, რბილი იატაკები, განათება, აქსესუარები და ა.შ.) ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი საქართველოში. ჯგუფი სპეციალიზირებულია კომფორტული და ფუნქციური სამუშაო სივრცეების შექმნაზე და სთავაზობს მომხმარებელს, მათ შორის სასტუმროებს, მრავალფეროვან პროდუქტს. ჯგუფის მომსახურება მოიცავს სივრცის კვლევას/შეფასებას, დიზაინის შექმნას, დაგეგმარებასა და 3D ვიზუალიზაციას, შეთანხმებული პროექტების რეალიზაციას (Turn key პრინციპით). გარდა ამისა, არქთრედი სთავაზობს მომხმარებელს არქიტექტურულ მომსახურებას, ინტეგრირებულ გადაწყვეტილებებს, მონტაჟს, პროექტის მართვასა და საფასადო სამუშაოებს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

შპს „არქთრეიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-3 შენიშვნაში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების კონვენციის მიხედვით და მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, რომელიც ეფუძნება რეალურ ღირებულებას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი.

კონსოლიდირების საფუძველი

შვილობილი

წარმოადგენს ინვესტირების ობიექტებს, სტრუქტურირებული კომპანიების ჩათვლით, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი, რადგანაც ჯგუფს (i) აქვს უფლებამოსილება ხელმძღვანელობა გაუწიოს ინვესტირების ობიექტების შესაბამისი საქმიანობას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ შემოსავალზე, (ii) ექვემდებარება ან უფლება აქვს მიიღოს ცვალებადი შემოსავლები ინვესტირების ობიექტებთან ურთიერთობიდან და (iii) შეუძლია ინვესტირების ობიექტებზე თავისი ძალაუფლება გამოიყენოს ინვესტორის მოგებაზე ზემოქმედების მოსახდენად. მატერიალური უფლებების, მათ შორის, მატერიალური პოტენციური ხმის მიცემის უფლებების არსებობა და ზემოქმედება, მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს ძალაუფლება სხვა კომპანიაზე. იმისთვის, რომ უფლება მატერიალური იყოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს ამ უფლების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა მაშინ, როცა საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება ინვესტირების ობიექტის შესაბამისი საქმიანობის ხელმძღვანელობის შესახებ. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე მაშინაც კი, თუ ის ინვესტირების ობიექტში ხმის უფლების უმრავლესობაზე ნაკლებს ფლობს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი აფასებს თავისი ხმის უფლებების მოცულობას ხმის უფლების მქონე სხვა პირთა ხმების მოცულობასა და გავრცელებასთან მიმართებაში იმის განსაზღვრისთვის, აქვს თუ არა მას ფაქტიური ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე. სხვა ინვესტირების დაცვითი უფლებები, როგორცაა, უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირების ობიექტის საქმიანობის ფუნდამენტურ ცვლილებებთან ან რომლებიც მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში გამოიყენება, არ აფერხებს ჯგუფის მიერ ინვესტირების ობიექტის კონტროლს. შვილობილი კომპანია კონსოლიდირებულია იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადაეცემა ჯგუფს (შემქმნის თარიღი) და დეკონსოლიდირებულია კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შემქმნის მეთოდი გამოიყენება შვილობილი კომპანიების შემქმნის ასახსნელად. საწარმოთა გაერთიანებისას შემქმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და პასივები და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები ფასდება შემქმნის თარიღს მათი სამართლიანი ღირებულებით, განურჩევლად აქციათა არასაკონტროლო პაკეტის მოცულობისა.

ჯგუფი განსაზღვრავს აქციათა არასაკონტროლო პაკეტს, რომელიც წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას და მფლობელს ანიჭებს უფლებას წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე ლიკვიდაციის შემთხვევაში, რიგ თანმიმდევრულ გარიგებებთან მიმართებაში: (ა) სამართლიანი ღირებულებით ან (ბ)

შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე აქციათა არასაკონტროლო პაკეტში. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი, რომელიც არ წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას, განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილი განისაზღვრება შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების გაქვითვით შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული მთლიანი თანხიდან, შესაძენ კომპანიაში აქციათა არასაკონტროლო პაკეტის თანხიდან და შესაძენ კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებიდან, რომელსაც ფლობს უშუალოდ შეძენის თარიღამდე. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „ხელსაყრელი შეძენა“) აღიარებულია მოგებას ან ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა გადააფასებს, განსაზღვრა თუ არა მან ყველა შეძენილი აქტივი და პასივი და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები და განიხილავს მათი შეფასების მიზანშეწონილობას.

შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული თანხა ფასდება უარყოფითი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტებითა და ნაკისრი ვალდებულებებით, პირობითი ანაზღაურების შესახებ შეთანხმებებიდან აქტივების ან პასივების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ მოიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა, საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურება. შეძენასთან დაკავშირებული და წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების გაცემისას გაწეული ხარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში სასესხო ვალდებულებების გაცემისას გაწეული საოპერაციო ხარჯები გაიქვითება სესხის საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა საოპერაციო ხარჯი ჩამოწერილ იქნება ხარჯების სახით.

კომპანიათაშორისი გარიგებები, ბალანსები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის კომპანიებს შორის გარიგებებიდან ლიკვიდირებულია; ასევე ლიკვიდირებულია არარეალიზებული მოგება, თუ ხარჯი ვერ იქნება ანაზღაურებული. ჯგუფი და მისი შვილობილი ჯგუფი იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის ერთიან პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია ჯგუფის პოლიტიკასთან.

აქციათა არასაკონტროლო პაკეტი წარმოადგენს საბოლოო შედეგებისა და შვილობილი კომპანიის საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია აქციათა პაკეტთან, რომელსაც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ ფლობს კომპანია. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი ქმნის ჯგუფის საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალური კომპონენტს.

წინა პერიოდის შეცდომების შესწორება

ჯგუფი შეასწორებს წინა პერიოდში დაშვებულ მატერიალურ უზუსტობებსა და შეცდომებს რეტროსპექტიულად, რომლებიც გამოვლინდება შესაბამისი პერიოდისთვის არსებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში და შეასწორებს ამ პერიოდში დაშვებულ უზუსტობებსა და/ან შეცდომებს. იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა დაშვებულია შემოწმების პერიოდამდე, აღნიშნული შეცდომის გასწორება და ნაშთების განახლება მოხდება იმ პერიოდის აქტივებზე, ვალდებულებებსა და კაპიტალზე დაყრდნობით, რა დროსაც იყო დაშვებული ასეთი შეცდომა.

მენეჯმენტმა გადაწყვიტა რეტროსპექტიული ცვლილების განხორციელება და 2019 წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორება.

წინა პერიოდის შეცდომების და რეკლასიფიკაციების გასწორების ეფექტი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობისა და კონსოლიდირებულ მოგება/ზარალის ანგარიშგებაზე შემდეგია:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირებ ის ეფექტი	რეკლას კორექტირებ ა	გადაანგარიშებუ ლი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2,924,671	881,672	-	3,806,343
სხვა საგადასახადო აქტივი	458,968	-	30,214	489,182
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,305,695	(306,712)	-	998,983

შპს „არქთრედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

				-
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,151,570	90,270	-	2,241,840
გამოუმუშავებელი შემოსავალი	5,211,295	-	(5,211,295)	-
მიღებული ავანსები	-	-	5,211,295	5,211,295
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	34,195	-	30,214	64,409
ფინანსური იჯარის ვალდებულება	344,319	111,734	-	456,053
გადადებული მოგების გადასახადი	4,408	(4,408)	-	-
				-
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	2,541,346	381,772	-	2,923,118
გაუნაწილებელი მოგება	-	(4,408)	-	-
				-
სხვა კორექტირება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	-	-	(2,000)	(2,000)

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის ანგარიშგება:

	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირები ს ეფექტი	რეკლას კორექტირე ბა	გადაანგარიშებული
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	-	302,304	-	302,304
ფინანსური ხარჯი	198,000	52,892	(47,099)	203,793
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	94,624	86,274	-	180,898
თვითღირებულება	17,834,000	(137,288)	5,950,085	23,646,797
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7,286,000	(10,270)	(5,960,828)	1,314,902
არასაოპერაციო ხარჯი	-	-	65,820	65,820
ფინანსური შემოსავალი	105,000	-	(99,368)	5,632
არასაოპერაციო შემოსავალი	-	-	91,390	91,390
		293,912	-	

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, ჯგუფის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მიუხედავად Covid-19 ვირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებისა, კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, რის შედეგადაც ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯგუფმა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცემა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სრულ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ჯგუფის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა ჯგუფი აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) ჯგუფმა გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ ჯგუფი დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად ჯგუფის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს ჯგუფის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
სატრანსპორტო საშუალებები	10-25
მანქანა-დანადგარები	2-20
ელექტრონული მოწყობილობები	2-20

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

შემოსავლის აღიარება

ჯგუფი შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

ჯგუფი როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ჯგუფი როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს ფასეულობების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო ფასეულობების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი გაუფასურების ზარალი. თუმცა, ინვესტიციები, რომლებისთვისაც არსებობს გამოქვეყნებული კოტირებული ფასი, აღრიცხება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილების იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში ასახვით, როდესაც ცვლილებას ჰქონდა ადგილი. მეკავშირე საწარმოდან დივიდენდის შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ძალაში შევა აქციონერის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ და აისახება, როგორც სხვა შემოსავალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღრიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოთა მიერ ტრანზაქციების ექვევშე დაყენება, რის გამოც ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

ჯგუფის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ჯგუფი დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
ღირებულება							
ბალანსი							
01.01.2019	405,475	2,397,411	162,617	136,840	327,349	89,328	3,519,019
შეძენა	901,214	355,810	35,404	7,360	22,357	3,119	1,325,264
ჩამოწერა	-	51,760	26,184	6,167	5,331	23,720	113,162
ბალანსი							
31.12.2019	1,306,689	2,701,462	171,836	138,033	344,374	68,726	4,731,121
შეძენა	-	89,915	510	6,783	-	-	97,209
ჩამოწერა	-	40,319	33,108	5,096	-	37,723	116,246
ბალანსი							
31.12.2020	1,306,689	2,751,058	139,238	139,720	344,374	31,004	4,712,084
ცვეთა							
ბალანსი							
01.01.2019	135,233	493,486	57,256	40,243	43,095	-	769,314
ცვეთა	24,764	152,284	19,447	9,476	19,474	-	225,444
ჩამოწერა	-	37,942	21,126	5,581	5,331	-	69,980
ბალანსი							
31.12.2019	159,996	607,828	55,578	44,138	57,238	-	924,778
ცვეთა	43,556	164,831	23,242	8,567	13,833	-	254,030
ჩამოწერა	-	12,923	30,241	3,198	-	-	46,362
ბალანსი							
31.12.2020	203,553	759,736	48,579	49,507	71,072	-	1,132,446
ნარჩენი ღირებულება							
ბალანსი							
01.01.2019	270,242	1,903,925	105,361	96,597	284,253	89,328	2,749,706
ბალანსი							
31.12.2019	1,146,693	2,093,634	116,259	93,895	287,136	68,726	3,806,343
ბალანსი							
31.12.2020	1,103,137	1,991,323	90,659	90,213	273,302	31,004	3,579,638

მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების ნაწილი მოიცავს ჯგუფის მიერ სს „თიბისი ლიზინგი“-სა და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“-სგან ლიზინგით შეძენილ ძირითად საშუალებებს.

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სახელშეკრულებო აქტივი	1,193,324	1,765,676
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,193,324	1,765,676

სახელშეკრულებო აქტივი მოიცავს კლიენტების მიერ კომპანიისთვის დაკავებულ თანხებს. აღნიშნულ თანხებს ჯგუფი მიიღებს ხელშეკრულების პირობების სრულად შესრულების შემდეგ. დასაკავებელი თანხები განისაზღვრება ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5% ოდენობით.

შპს „არქთრედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

6. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

ჯგუფს ჰყავს მეკავშირე საწარმო შპს „ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი“, რომელშიც ფლობს 48%-იან წილს.

მეკავშირე საწარმო, რომელშიც კომპანიას ინვესტიცია აქვს განხორციელებული, არ არის ბირჟაზე რეგისტრირებული პირი და შესაბამისად ფასთა კოტირება გამოცემული არ არის.

ჯგუფი მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციებს აღრიცხავს თვითღირებულების მეთოდით.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	298,347	100,910
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	81,299	633,723
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,134	9,594
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	383,780	744,227

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არა სარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სავაჭრო მოთხოვნები	1,152,995	1,306,800
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვი	(389,811)	(307,817)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	763,184	998,983

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

31/12/2020

ვადაგადაცილებული დღეები 31.12.2020	რეზერვის განაკვეთი	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეზერვამდე	რეზერვის თანხა
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	100%	158,112	158,112
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	50%	397,957	198,978
181-360 ვადაგადაცილება	50%	52,512	26,255
91-180 ვადაგადაცილება	25%	25,293	6,323
61-90 ვადაგადაცილება	5%	1,090	54
31-60 ვადაგადაცილება	2%	4,389	88
0-30 ვადაგადაცილება	0%	513,643	-
		1,152,996	389,811

31/12/2019

ვადაგადაცილებული დღეები 31.12.2019	რეზერვის განაკვეთი	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეზერვამდე	რეზერვის თანხა
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	100%	158,112	158,112
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	50%	156,200	78,100
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	25%	250,034	62,508
181-360 ვადაგადაცილება	50%	6,143	3,072

შპს „არქთრედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

91-180 ვადაგადაცილება	25%	4,378	1,094
61-90 ვადაგადაცილება	5%	-	-
31-60 ვადაგადაცილება	2%	246,556	4,930
0-30 ვადაგადაცილება	0%	485,377	-
		1,306,800	307,817

9. გადახდილი ავანსები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	426,724	276,688
სხვა წინასწარ გადახდილი ავანსები	12,200	18,375
სულ გადახდილი ავანსები	438,924	295,063

გადახდილი ავანსები მოიცავს არარეზიდენტი კომპანიის მიმართ წინასწარ გადახდილ თანხებს. აღნიშნული წინასწარ გაწეული ხარჯები განკუთვნილია სამშენებლო პროექტებისთვის შესყიდული მასალების იმპორტირებისთვის.

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მასალები	1,860,081	3,824,551
მზა პროდუქცია	419,389	1,184,104
ავეჯი	145,758	137,337
მინა და მინა-პაკეტი	9,418	9,418
საწვავი	2,784	2,987
სულ მიმდინარე მარაგები	2,437,430	5,158,397

მასალების ძირითადი ნაწილი შეძენილია იმპორტით. ყველაზე მსხვილი იმპორტიორია SCHUECO INTERNATIONAL KG. მასალების იმპორტი ხორციელდება გერმანიიდან.

11. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	507,054	772,718
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	-	400,000
	507,054	1,172,718

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილეთ დეტალური ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ:

კრედიტორი	ხელშეკრულების დაწყების თარიღი	ხელშეკრულების დასრულების თარიღი	სესხის მოცულობა	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დარჩენილი სასესხო ვალდებულება 12/31/2020
მეკავშირე საწარმო	12/27/2019	1/27/2020	400,000	GEL	12%	-
მეკავშირე საწარმო	8/12/2020	11/12/2020	70,000	GEL	12%	-
მეკავშირე საწარმო	9/21/2020	12/21/2020	85,000	GEL	11%	-

შპს „არქიტექტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	5/2/2017	5/1/2020	650,000	GEL	14%	-
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	8/21/2020	8/21/2024	545,000	GEL	13%	432,496
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	11/5/2019	3/5/2020	60,000	EUR	7%	-
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	6/12/2020	1/12/2021	127,500	EUR	7%	74,558
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	11/20/2020	5/20/2021	150,000	USD	8%	-
						507,054

12. ფინანსური იჯარის ვალდებულება

ბალანსი 01.01.2019	560,025
დარიცხული პროცენტი	57,673
გადახდილი ძირი	161,645
ბალანსი 31.12.2019	456,053
დარიცხული პროცენტი	55,593
გადახდილი ძირი	70,884
ბალანსი 31.12.2020	440,762

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	711,668	1,160,653
ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	592,092	1,081,187
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,303,760	2,241,840

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია სამშენებლო საქმიანობისთვის საჭირო სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენასთან, როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მომწოდებლებისაგან.

14. მიღებული ავანსები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	3,771,985	5,211,295
სულ მიღებული ავანსები	3,771,985	5,211,295

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები პროექტების მიხედვით:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
შპს ალიანსი თბილისი (ფასადის სამუშაოები C ბლოკი თამარაშვილის ქ.)	1,974,908	-
აპტოს შპს 202353602	487,495	30,160

შპს „არქთრეიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მუზა 2002 შპს 204440989	418,472	-
თაბორი რიზორთისი შპს 405147755	369,489	-
ქიაჩელი რეზიდენსი 404524742	195,229	725,677
სხვა პროექტებიდან მიღებული ავანსები	233,023	338,467
უბიკი (ურბან დეველოპმენტი) 405034378 კრწანისი რეზიდენს შპს	93,369	187,331
ეი ენდ ეი ქონსტრაქშენ 405212979 შპს	-	3,728,437
ჭავჭავაძის 64 ბ შპს 404890891	-	201,222
სულ მიღებული ავანსები	3,771,985	5,211,295

ზოგიერთი მომხმარებლის მიერ გადახდილი ავანსი დაზღვეულია ბანკის საავანსო გარანტიებით, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტორს ავანსად გაცემული თანხის დაბრუნებით იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელმა არადანიშნულებისამებრ განკარგა მიღებული თანხა.

15. გადასახდელი ხელფასები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ადმინისტრაცია	45,651	36,059
პირდაპირი ხელფასი	137,275	152,782
სულ გადასახდელი ხელფასები	182,926	188,841

ჯგუფის შიდა პოლიტიკის მიხედვით პროექტში ჩართული თანამშრომლებისთვის გადასახდელი ხელფასიდან კავდება თანხა წინასწარ დადგენილი პროცენტით, რომლის გადახდაც ხორციელდება პროექტის დასრულების შემდეგ.

16. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 595,536 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 351,076 ლარით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოხდა როგორც კაპიტალის გაზრდა 534,779 ლარით, ასევე შემცირება 441,254 ლარით. ცვლილებების შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,040,137 ლარს.

17. შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან

	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	17,605,995	30,271,974
სხვა შემოსავლები	89,427	14,050
სულ შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	17,695,422	30,286,024

18. თვითღირებულების ხარჯი

	2020 წ.	2019 წ.
ძირითადი მასალები	7,231,185	16,747,265
მომსახურების ხარჯი	3,381,616	3,960,365
პირდაპირი ხელფასი	3,845,252	5,646,563
ზედნადები ხარჯები	643,776	-
ცვეთის ხარჯი	164,196	153,877
სხვა ხარჯები	207,124	197,510
იჯარის ხარჯი	196,023	191,820

შპს „არქიტექტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რემონტის ხარჯი	98,776	49,919
მიწოდების ხარჯი	50,738	57,007
კომუნალური ხარჯი	15,449	10,770
სულ თვითღირებულების ხარჯი	15,834,135	27,015,096

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2020 წ.	2019 წ.
ხელფასი	937,776	759,015
ცვეთის ხარჯი	122,532	99,376
კომუნიკაციის ხარჯი	92,349	62,698
საბანკო გარანტიები	79,572	14,181
სადაზღვევო ხარჯი	36,404	27,283
რემონტის ხარჯი	33,716	31,523
კომუნალური ხარჯი	30,664	30,370
სამეურნეო ხარჯი	27,234	21,802
საგადასახადო ხარჯი	25,073	28,126
საბანკო მომსახურება	24,185	27,888
სხვა ხარჯები	33,658	131,338
იჯარის ხარჯი	38,712	19,907
საკონსულტაციო ხარჯი	14,237	10,080
მივლინების ხარჯი	13,475	151,637
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,509,587	1,415,224

20. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი მოიცავს ბანკისაგან მიღებულ სესხებზე, სალიზინგო ვალდებულებაზე დარიცხულ პროცენტსა და ასევე, გრძელვადიანი აქტივების დისკონტირებას . ცხრილის სახით იხილეთ გაცემული ფინანსური ხარჯის შესახებ ინფორმაცია:

	2020 წ.	2019 წ.
საპროცენტო ხარჯი	181,186	203,793
გრძელვადიანი აქტივების დისკონტირება	32,031	-
სულ ფინანსური ხარჯი	213,217	203,793

21. არასაოპერაციო ხარჯი

	2020 წ.	2019 წ.
ჯარიმის ხარჯი	1,392,828	-
საგარანტიო მომსახურების ხარჯი	62,896	20,759
სხვა ხარჯი	57,889	30,583
სულ არასაოპერაციო ხარჯი	1,513,613	51,342

2020 წლის არასაოპერაციო ხარჯის ძირითადი ნაწილი, კერძოდ 1,392,828 ლარი, მიეკუთვნება პროექტის შესრულების ვადების დარღვევის გამო დარიცხულ ჯარიმის ხარჯს.

22. უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი

	2020 წ.	2019 წ.
მოგება საკურსო სხვაობიდან	(329,137)	(120,683)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	499,637	320,609
სულ უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	170,500	199,926

23. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2020 წ	
დამფუძნებლების ანაზღაურება	147,082	
დირექტორის ანაზღაურება	173,991	
სულ	321,073	
მენეჯმენტის ანაზღაურება	2019 წ	
დამფუძნებლების ანაზღაურება	191,875	
დირექტორის ანაზღაურება	160,668	
სულ	352,543	
დასახელება	ოპერაციის შინაარსი	31.12.2020
საბალანსო მუხლები		

შპს „არქთრედი“**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მეკავშირე საწარმო	გრძელვადიანი აქტივი	499,029
მეკავშირე საწარმო	კრედიტორული დავალიანება	6,387
მეკავშირე საწარმო	დებიტორული დავალიანება	19,229
დასახელება	ოპერაციის შინაარსი	31.12.2019
საბალანსო მუხლები		
მეკავშირე საწარმო	მიღებული სესხები	400,000
მეკავშირე საწარმო	მიღებული ავანსები	3,026,737
მეკავშირე საწარმო	კრედიტორული დავალიანება	82,131
მეკავშირე საწარმო	გრძელვადიანი აქტივი	278,645
მეკავშირე საწარმო	დებიტორული დავალიანება	686,499
დასახელება		2020 წ.
დამფუძნებლებზე გადახდილი დივიდენდი		51,654
		51,654
დასახელება		2019 წ.
დამფუძნებლებზე გადახდილი დივიდენდი		41,450
		41,450

25. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც მ.შ. ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე კოვიდ-19 პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა ჯგუფში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 27 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

2021 წელს ჯგუფმა მეკავშირე საწარმოსგან მიიღო სესხი 198,500 ლარის ოდენობით. ფინანსური ინტიტუტებიდან მიღებული სესხი გაიზარდა 1,457,183 ლარით.

საწესდებო კაპიტალი დამფუძნებლების მიერ გაიზარდა 217,344 ლარით და შემცირდა 663,473 ლარის ოდენობით.

გრძელვადიანი აქტივები, რომელიც მოიცავს დაკავებულ საგარანტიო თანხებს, 2021 წელს შემცირდა 581,111 ლარით.

შპს „არქთრეიდი“

2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა	3
2. ჯგუფის მმართველობითი ორგანოები	4
3. ჯგუფის კაპიტალი.....	4
4. რისკ-ფაქტორები	7
5. კორპორაციული მართვის ანგარიშგება	8

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქთერიდი“ (შემდგომში „ჯგუფი“), საიდენტიფიკაციო ნომერი 205039180, დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2004 წლის 31 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., № 71, სართული 2, ოფისი N9.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	პირადი ნომერი	% წილი
თეიმურაზ ხოჯავა	01024017928	16%
მიხეილ კალანდაძე	01008001242	50%
დავით აბშილავა	01009003106	34%

კომპანიის დირექტორია მიხეილ კალანდაძე.

შპს „არქთერიდი“ 100% წილს ფლობს შპს „ემ-ი-პი სოლუშენს“-ში. თავის მხრივ შპს „ემ-ი-პი სოლუშენს“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კომპანიას, რომელიც დაფუძნებულია 2019 წლის 16 მაისს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405335418 იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., № 71, სართული 2, ოფისი N9. 2. კომპანიის დირექტორი ლევან შაქარაშვილი.

ჯგუფს ჰყავს ასევე მეკავშირე საწარმო შპს „ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი“, რომელშიც ფლობს 48%-იან წილს.

2021 წლის 13 მარტს დაფუძნდა კომპანია შპს „დი ენდ ეი“ (ს/კ: 405449199), რომლის 50%-იანი წილის მფლობელია შპს „არქთერიდი“.

შპს „არქთერიდი“ წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან ჯგუფს სამშენებლო სფეროში, ასევე არის ავეჯის და შიდა მოსაპირკეთებელი მასალების (კარები, ტიხრები, რბილი იატაკები, განათება, აქსესუარები და ა.შ.) ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი საქართველოში. ჯგუფი სპეციალიზებულია კომფორტული და ფუნქციური სამუშაო სივრცეების შექმნაზე და სთავაზობს მომხმარებელს, მათ შორის სასტუმროებს, მრავალფეროვან პროდუქტს. ჯგუფის მომსახურება მოიცავს სივრცის კვლევა/შეფასებას, დიზაინის შექმნას, დაგეგმარებასა და 3D ვიზუალიზაციას, შეთანხმებული პროექტების რეალიზაციას (Turn key პრინციპით). გარდა ამისა, არქთერიდი სთავაზობს მომხმარებელს არქიტექტურულ მომსახურებას, ინტეგრირებულ გადაწყვეტილებებს, მონტაჟს, პროექტის მართვასა და საფასადო სამუშაოებს.

კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოები გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რისი დასტურიც გახლავთ ქ. თბილისში კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები – საქართველოს ბანკის, რესპუბლიკა ბანკისა და პროკრეტიდ ბანკის სათაო ოფისების რემონტი (შენობის გარე ფასადების ჩათვლით) და ბანკების ოფისების ინვენტარით აღჭურვა.

დღეის მდგომარეობით ჯგუფი საოფისე ინვენტარის მიწოდებისა და სარემონტო სამუშაოთა წარმოებათა სეგმენტის ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია, რადგანაც მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევით, კონკურენციის მიუხედავად ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას.

2. ჯგუფის მმართველობითი ორგანოები

- ❖ პარტნიორთა კრება
- ❖ დირექტორი

ჯგუფის მართვა ხორციელდება საზოგადოების წესდებით:

პარტნიორთა კრების ფუნქციებია:

- ✓ საზოგადოების გეგმებისა და სოციალური განვითარების საერთო მიმართულებებისა და საზოგადოების საქიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ✓ ფილიალებისა და სხვა განცალკავებული ქვედანაყოფების შექმნა, რეორგანიზაცია, საქიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია), კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- ✓ დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, მასთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა
- ✓ წმინდა მოგების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება;

დირექტორის ფუნქციებია:

- ✓ კომპანიის წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ✓ კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა;
- ✓ რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია;
- ✓ მიმდინარე გეგმების განხილვა;
- ✓ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი;

ჯგუფის მართვის ზოგადი სტრუქტურა:

- კომპანიის დირექტორი
- სარემონტო-სამშენებლო განყოფილება
- გაყიდვებისა და შესყიდვების განყოფილება
- ფინანსებისა და აღრიცხვის განყოფილება

ჯგუფის სტრუქტურა ისეა მოწყობილი რომ სხვადასხვა განყოფილებებს შეუძლიათ სინქრონულად იმუშაონ. დაზღვეულია ადამიანური შეცდომების რისკები, რადგანაც თითოეული პროცესი შიდა კონტროლის რამდენიმე საფეხურს გადის.

3. ჯგუფის კაპიტალი

ჯგუფის ზოგადი სტრატეგია დაფუძნებულია უცვლელია. კომპანიის საბრუნავი კაპიტალის სტრუქტურა შედგება წმინდა სესხისგან და კომპანიის კაპიტალისგან (კაპიტალი), რომელიც იზრდება ყოველწლიურად სანგარიშო პერიოდის მოგებით.

ფინანსური მაჩვენებლები


აქტივები

ჯგუფის აქტივები კლასიფიცირდება გრძელვადიან და მიმდინარე აქტივებად. ჯამური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 8,838,442 ლარის ოდენობით.

ჯგუფის აქტივების ბოლო სამი წლის მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:




მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები 2020, 2019 და 2018 წლის მდგომარეობით:



ვალდებულებები

ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებების ძირითადი ნაწილი მოიცავს მიღებულ ავანსებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. გრძელვადიანი ვალდებულებები შედგება სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური იჯარისგან.


გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების ბოლო სამი წლის მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ დიაგრამის სახით:



თანხები მოცემულია ლარში (1-2020; 2*-2019; 3*-2018)

შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალი 2020 წელს 2019 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც გამოწვეულია მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო. 2020 წელს კომპანიის შემოსავალი იყო 17,695,422 ლარი. 2019 წელთან შედარებით 12,590,602 ლარით არის შემცირებული.



თანხები მოცემულია ლარში (1-2020; 2*-2019;)

საერთო მოგება

ჯგუფის საერთო მოგებამ 2020 და 2019 წლებში შეადგინა შესაბამისად, 1,861,287 ლარი და 3,270,928 ლარი.

4. რისკ-ფაქტორები

ჯგუფის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ❖ რთული გლობალური ეკონომიკური პირობები;
- ❖ მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა;
- ❖ ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა;
- ❖ ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა;
- ❖ ახალი რეგულაციები სამშენებლო სფეროში;
- ❖ ახალი საბანკო რეგულაციები;
- ❖ შრომის უსაფრთხოების რეგულაციები;

ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს კომპანიის დაკვეთებზე. კომპანიის საოპერაციო ხარჯების გარკვეული ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული ან დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე. თუმცა შემოსავლის დიდ ნაწილს კომპანია იღებს აშშ დოლარის ექვივალენტში, რადგან მისი მომსახურეობის ძირითადი ნაწილი მოდის წინასწარ მიღებულ ავანსებზე, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში. ეს გარკვეულწილად აბალანსებს კომპანიის სავალუტო რისკებს. თუმცა სავალუტო რისკები უარყოფითად აისახება თავად მომსახურეობის მიწოდებაზე, რადგან კურსის რყევის პირობებში დამკვეთს ხელი ეშლება გააკეთოს გააზრებული არჩევანი, რადგან ვერ აფასებს სამომავლო რისკებს.

თუმცა ჯგუფმა მოახერხა დამკვეთისადმი ხელსაყრელი პირობების შეთავაზება პარტნიორ ბანკებთან თანამშრომლობის გზით, რამაც აღნიშნული უარყოფითი ეფექტი შეასუსტა და გაანეიტრალა.

ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკს წარმოადგენს დებიტორების მიერ დავალიანებების არ გადახდა. აღნიშნული რისკის ალბათობა და კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები გაანალიზებულია და აღნიშნულის შესამცირებლად შემუშავებულია შესაბამისი ხელშეკრულებები და ასევე დანერგილია ოპერატიული მონიტორინგის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ჯგუფი ოპერატიულად იღებს ინფორმაციას, როდესაც დებიტორის დავალიანება უახლოვდება სარისკო ნიშნულს, ასევე გადახდის ვადის ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის საფუძველზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ვალის ამოღებასთან დაკავშირებით.

COVID-19-თან დაკავშირებული პანდემია მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა როგორც ქვეყნისთვის, ისე ბიზნესისთვის. აღნიშნულის გამო საჭირო გახდა სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება. ჯგუფმა ეფექტურად განახორციელა კორონავირუსის ინფექციის სწრაფი გავრცელების მართვა. მიუხედავად კრიზისული სიტუაციისა და ქვეყანაში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, ჯგუფს არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა.

ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება COVID-19-ით გამოწვეულ ვითარებას საქართველოში და მართავს საკუთარ ლიკვიდურობას და საოპერაციო საქმიანობას. კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის გაგრძელების უნარი როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

5. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა:

ჯგუფის კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანია საზოგადოების კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორაციულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, პარტნიორთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. ჯგუფი აცხადებს მზაობას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- თანასწორობა - თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა პარტნიორის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც ჯგუფში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად.
- ჯგუფის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა - პარტნიორისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრებებში, დროულად მიიღოს ინფორმაცია საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, წერილობით წარადგინონ თავიანთი პოზიცია, ამასთანავე დროულად მიეწოდოს ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ასევე მიიღოს ნებისმიერ სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.
- გამჭვირვალობა - უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, რათა პარტნიორებსა და პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.
- თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების მით უფრო კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

შპს „არქთრედი“

დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

5. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა:

ჯგუფის კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანია საზოგადოების კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორაციულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, პარტნიორთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. ჯგუფი აცხადებს მზაობას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- თანასწორობა - თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა პარტნიორის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც ჯგუფში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად.
- ჯგუფის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა - პარტნიორისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრებებში, დროულად მიიღოს ინფორმაცია საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, წერილობით წარადგინოს თავიანთი პოზიცია, ამასთანავე დროულად მიეწოდოს ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ასევე მიიღოს ნებისმიერ სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია გაგუენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.
- გამჭვირვალობა - უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, რათა პარტნიორებსა და პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.
- თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების მით უფრო კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

შპს „არქთრედი“

დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

